ოქმი #4

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2026 წლის 3 ივნისის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), თ. ბუჩუკური, მ. ელიაშვილი, ა. კვინიხიძე, ი. კიღურაძე, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, გ. ციციშვილი, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 28 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 16 წევრი).

დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისთვის საკონკურსო კომისიის შექმნა.

მოისმინეს: ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2026 წლის 20 მაისს გამოცხადდა კონკურსი თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად (*თსუ რექტორის 2026 წლის 15 მაისის # 108/01-01 გრძანება*). კერძოდ, კონკურსი გამოცხადდა შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილება:

მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;

მეცნიერი თანამშრომელი - 0.5 საშტატო ერთეული.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თსუ რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია.

საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატებად დასახელდნენ: თენგიზ ბუჩუკური, ნუგზარ შავლაყაძე, ოთარ ჯოხაძე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

1) წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ის რექტორს დასამტკიცებლად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **თენგიზ ბუჩუკური** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
2. **ნუგზარ შავლაყაძე** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
3. **ოთარ ჯოხაძე** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დიფერენციალური განტოლებების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციაა ზემოთ აღნიშნული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე იყოს ო. ჯოხაძე, თავმჯდომარის მოადგილე - თ. ბუჩუკური, ხოლო კომისიის მდივანი - ნ. შავლაყაძე.

საბჭოს თავმჯდომარე — თ. ქადეიშვილი

სწავლულ მდივანი — ო. ჯოხაძე